ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..."

# ოდიში

1991
სამშაბათი
5
მარტი
№ 27 (10420)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

28 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ განაგრძო მუშაობა. დეპუტატებმა იმსჯელეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების კანონპროექტზე, რომლის განხილვა წინა დღეს დაიწყო. გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული ეს კანონპროექტი წარმოადგინა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ გიგი თაქთაქიშვილმა. კანონი მიიღეს პირველი წაკითხვით.

სესიამ დაამტკიცა უზენაესი საბჭოს საქართველოს რესპუბლიკაში მიწის ნაკვეთების გამოყოფის საფუძვლიანობის საკითხთა შემსწავლელი დროებითი კომისიის შემადგენლობა.

შემდეგ უზენაესი საბჭო შეუდგა სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე სსრ კავშირის რეფერენდუმის ორგანიზაციისა და მისი მოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილების გამო საკითხის განხილვას. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას განცხადების შემდეგ, რომელმაც წაიკითხა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შემოთავაზებული დადგენილების პროექტი, დაიწყო კამათი. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ბიძინა გიორგობიანი, ლევან ალექსიძე, ნოდარ ნათაძე, ტარიელ გელანტია, ბიმურზა აფრასიძე, როის სეტრეველი, აპოლონ სილაგაძე, რომან გოცირიძე, ალექსანდრე ქობულაშვილი, თემურ მღინარაძე, დავით ბერძენიშვილი, აკაკი ბობოხიძე, რობერტ პეტრიაშვილი და სხვები. სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სამაჩაბლოში მდგომარეობის შესახებ სესიაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ქალაქ ცხინვალის კომენდანტმა, მილიციის გენერალ-მაიორმა გიგი კვანტალიანმა. მან და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა უპასუხეს დეპუტატთა კითხვებს.

სამაჩაბლოში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებისადმი.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურის შესახებ უზენაეს საბჭოს მოახსენა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ. მისივე წარდგენით სესიამ დანიშნა მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და დეპარტამენტების, სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელები.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიისაგან დეპუტატთა ჯგუფის განცხადება გააკეთა დეპუტატმა კონსტანტინე კაპანაძემ.

სესიაზე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე განცხადებებით და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები გურამ პეტრიაშვილი, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ამირან კალაძე, აკაკი ბობოხიძე და ავთანდილ საღვარელიძე.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები

## საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების ზუგდიდის ტერიტორიული საარჩევნო კომისია

თავმჯდომარე: ჭკუშია მზია გიორგის ასული — მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა

მოადგილე: გელენავა გენდრი ხუხუს ძე — ჩაის კომბინატ „როდინის" საამქროს უფროსი

მდივანი: დურწყაია ზოია მიხეილის ასული — ზუგდიდვაჭრობის საწყობის ბუღალტერი

წევრები:

შელია მედეა სერგოს ასული — სოფ. ოქტომბრის პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის კადრების განყოფილების ინსტრუქტორი.

ჭიქია მარინა გელოდის ასული — ქალაქის დაზღვევის ინსპექტორი.

ნარმანია კარლო შალვას ძე — მანქანათმშენებელი ქარხნის საამქროს ოსტატი.

ჩემსაძე გურამ ამბაკოს ძე — ცაიშის ჩაის ფაბრიკის ლაბორანტი.

ნარმანია ხვიჩა მარტიკოს ძე — კოლმეურნე.

შელანია ხუხამ ეწვერის ასული — დროებით უმუშევარი.

მეიშვილი ნოდარ თამაზის ძე — მე-14 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

პერტაია ნონა ილიას ასული — მანქანათმშენებელი ქარხნის კადრების განყოფილების ინსტრუქტორი.

კიკალიშვილი დავით ამირანის ძე — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტი.

ჩუხუა კახა ტარიელის ძე — დროებით უმუშევარი.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების ზუგდიდის ტერიტორიული საარჩევნო კომისია მდებარეობს:

ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. № 58, რაისაბჭოს აღმასკომის შენობა, მე-2 სართული, ტელეფონი 2-46-58.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
მ. ჭკუშია.

პედაგოგიკური გამოცდილების წახნაგები

# მოსწავლეში თანამოაზრეს ვხედავ

ყველამ ვიცით, თუ როგორ იცვლება ცხოვრება, ვითარდება მოვლენები. დრო ამსხვრევს შაბლონს, შტამპებს, დოგმებს, რომლებსაც ათეულწლობით ასე შევეჩვიეთ და შევესისხლხორცეთ. ახალ ეროვნულ ხელისუფლებას იმედით შევყურებთ, მას ვუკავშირებთ საქართველოს ხვალინდელ აღორძინებას. დროს მოაქვს ახალი საზომები, ახალი მიდგომები. სწორედ ამდაგვარი განწყობილებით, შეცვლილი ფსიქოლოგიით უნდა ვეცადოთ ეკონომიკის ახალი სტრუქტურების დამკვიდრებას. ვინც ამ სიახლეებს ფეხს ვერ აუბამს, მას თვით ცხოვრება ჩააყენებს უხერხულ მდგომარეობაში.

დღეს რომ იმ სტილით დადგა სპექტაკლი რუსთაველის სახელობის თეატრში, რა სტილითაც სანდრო ახმეტელი დგამდა 30-იან წლებში, ანაქრონიზმი გამოვა. აი, თუნდაც მიხეილ თუმანიშვილის და რობერტ სტურუას რეჟისორული ნიჭიერება იმაში გამოიხატა, რომ მათ არაჩვეულებრივი ახლებური თეატრალური ესთეტიკა მიუსადაგეს დღევანდელობას. ამ მომენტზე ყურადღების გამახვილება იმიტომ დამჭირდა, რომ შევეხო ჩემთვის სისხლხორცეულ თემას — მოსწავლეთა აღზრდის მტკივნეულ პრობლემას. სხვაზე მეტ გადასინჯვას ითხოვს სწავლების ნოვატორული მეთოდოლოგია, რომლის ძიების სფეროში არცთუ ისე ხელშესახები მიღწევები გვაქვს.

მომიტევონ კოლეგებმა, თუ სათქმელს უფრო საკუთარ შთაბეჭდილებებზე ავაგებ. მზამზარეული რეცეპტების მიცემა ამ დელიკატურ საქმეში გამართლებულად არც მიმაჩნია.

განახლების გზაზე შემდგარ ქართულ ეროვნულ სკოლაში უნდა ვიხელმძღვანელოთ დიდი იაკობ გოგებაშვილის, ლუარსაბ ბოცვაძის და სხვა ღვაწლმოსილი პედაგოგების მოძღვრებით. მათ საალმზრდელო მსოფლმხედველობაში ხელი უნდა ჩავჭიდოთ იმ წარუვალი ღირებულების „მუდმივ ფონდს", რასაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ყოველი მასწავლებელი უნდა ესწრაფვოდეს თვითგანახლებას, 30-40-იანი წლების პედაგოგიკური დოგმების დაძლევას, ახლის, პროგრესულის ძიებასა და დანერგვას.

დღეს, როცა ათასნაირი არხიდან მოზარდი ზღვა ინფორმაციას იღებს, მუშტის მაგიდაზე ბრახუნით მოსწავლეს ვერ დაიმორჩილებ. უფრო მეტიც. ასეთი ავტორიტარული სტილით მის სულს უფრო ამახინჯებ.

პედაგოგად მუშაობის დიდი გამოცდილება არა მაქვს, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ თითოეულ მოზარდთან შინაგანი კონტაქტის დამყარებას, თანამშრომლობას. ამაში ჩემი საგანი — ქართული ლიტერატურაც მეხმარება. ჩემი მიზანია ყოველი გაკვეთილის თემისადმი ინტერესი აღვუძრა მოსწავლეს, მივაჩვიო საკუთარი აზრებისა და შთაბეჭდილებების ჩამოყალიბებას. არ ვიცი, რამდენად კარგად გამომდის, მაგრამ ვცდილობ კლასში შევქმნა საინტერესო მიკრო-სამყარო, რომლის აქტიურ მონაწილედ და შემოქმედად უნდა იგრძნოს თავი თითოეულმა აღსაზრდელმა.

ჯერ კიდევ არ არის ჩვენს ზოგიერთ სკოლაში გადაწყვეტილი აკადემიური მოსწრების პრობლემა. ყბადაღებული პროცენტომანია აქა-იქ კიდევ გვახსენებს თავს. სწავლების გონივრული დიფერენცირება, პროფილური მიდგომის პრინციპი, აგრეთვე საკლუბო მუშაობის განვითარება, — აი, ეს მესახება მომავლის სკოლის გზად.

ნიჭიერი პოლონელი პედაგოგი სუხომლინსკი ყოველ გაკვეთილზე კიდებდა პლაკატს: „იფიქრე, რისთვის მოხვედი ამ ქვეყანაზე". ამით იგი აღძრავდა მოსწავლეთა ყურადღების, მისი ინტერესისა და ნებელობის აქცენტირებას გარკვეული მიმართულებით. იგი ამბობდა: „სწავლება არ არის ერთი კასრიდან ცოდნის გადაქაჩვა მეორე კასრში, არამედ ცოცხალი, უშუალო დიალოგი ბავშვებთან".

ღრმა, მრავლისმეტყველი აზრი დევს ამ ფრაზაში. ასეთი დიალოგის გარეშე შეუძლებელია დღევანდელ საქართველოს აღუზარდო სულით და ხორცით ჯანსაღი თაობა. ეს არის ჩემი, როგორც პედაგოგის კრედო, რომელსაც არასდროს გადავუხვევ.

დიანა როგავა,
მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგი.

სამაჩაბლოს მოვლენების ექო

# მეტის მოთმენა აღარ შეიძლება

საქართველოში ამჟამად მიმდინარე მოვლენებს მღელვარებით ვადევნებ თვალს. ზოლო არ უჩანს საკავშირო პრესიდან და ეთარხებიდან დეზინფორმაციის ნაკადს. ყველაფრიდან ჩანს, რომ იმპერიული მესამე ძალა აშკარად დაინტერესებულია სამაჩაბლოში ვითარების კიდევ უფრო გამწვავებით. ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს საქართველოს ახალმა მთავრობამ დიდი უსამართლობა ჩაიდინა ჩვენს ძირძველ მიწაზე მოსახლე ოსების მიმართ. სინამდვილეში კი სულ სხვანაირად არის საქმე. ჩვენი პარლამენტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ აღადგინა ისტორიული სიმართლე და იგივე ოსი მოსახლეობის სამომავლო ინტერესებისათვის ბრძოლაც მართებულ გზაზე დააყენა. მოვა დრო და ამას სწორად ჩაწვდებიან ისინი. მიხვდებიან, რომ ჩვენი გათიშვა მხოლოდ ცენტრის ინტერესებში შედის. ნუთუ არ უნდა გავიგოთ მზაკვრული, შორს მიმავალი გეგმა: რადაც არ უნდა დაუჯდეთ, სურთ საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, ხოლო ამ „ოპერაციით" რომ ჩვენი სამშობლოს ისტორიული სხეული ზიანდება, ამას არად დაგიდევენ.

დარწმუნებული ვარ, ზოლოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. მაგრამ როდემდე უნდა დაიღვაროს სამაჩაბლოში ადამიანთა სისხლი. დროა, ყოველივე ამ უმსგავსოებას ბოლო მოეღოს. საქართველოს მთავრობას და ოსი მოსახლეობის წარმომადგენლებს შორის დიალოგმა ეს პრობლემა უმოკლეს დროში უნდა გადაჭრას. ჩემი ღრმა რწმენით საჭიროა ამ საკითხების სამართლიანად და ობიექტურად გარჩევაში მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ექსპერტებმა, უცხოეთის საინფორმაციო ორგანოების წარმომადგენლებმა.

ვახტანგ ზულუა.

# რას ნიშნავს ასეთ დროს დუმილი?

სამაჩაბლოს საკითხი გულს ყოველთვის ცეცხლად ეხება. მაგრამ ამ წერილის დაწერა დამაჩქარებინა მიმდინარე წლის 22 თებერვლის გაზეთ „იზვესტიის" ფურცლებზე ე. წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილი სიტუაციის შესახებ კულტურის სხვა არაქართველ მუშაკებთან ერთად ცნობილი მსახიობის, ქართველი (თუ მხოლოდ ქართული გვარის მატარებლის) ოლეგ ბასილაშვილის მიერ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობისადმი მიმართვაზე ხელისმოწერამ. ეს არის ფაქტიურად მოწოდება ქართველებისადმი, რათა ოსებთან დამოკიდებულებაში „მეტი ჰუმანიზმი" გამოიჩინონ.

სატირალია ისიც, რომ ქართული გენის კაცი საქმეში ჩაუხედავად ხელს აწერს ასეთ ცალმხრივ მიმართვას.

მაგრამ ამჟამად, როგორც ზუგდიდელს სხვა რამ მაწუხებს. ხომ ცნობილია ჩვენთვის, რომ ზუგდიდში [illegible] მეტი ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ. მათ შორის ოსებიც. ზოგი მათგანი ღირსეული ადამიანია, დამსახურებული ავტორიტეტითაც სარგებლობს საზოგადოებაში.

ჩვენ მხოლოდ სატელეფონო ცნობარითა და მშვენიერ სახლებში ჩაკეტული აზრებით როდი ვიცნობთ მ. და ა. კუმალაგოვებს. ასინი საკმაოდ პოპულარული არიან, განსაკუთრებით მახარბეგი. იგი მეტად შრომისმოყვარე, ოქროსხელება კაცია, გამოირჩევა მხარში ამოდგომით. არც ზუგდიდელებისაგან აკლია თანადგომა. მაგრამ აკი დაუფასდა კიდეც. მიუხედავად დაბალი განათლებისა, გაცილებით უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ინტელიგენტი, ყოველი საშუალო მდგომარეობის მქონე ზუგდიდელი. ეს ადამიანები ზუგდიდმა შეიხიზნა, აქ მომძლავრდნენ, შვილები და შვილიშვილები დაზარდეს, განათლება მიაღებინეს, ცხოვრებაში გამოიყვანეს.

არაფერს ვამბობ იმ ოსებზე, რომლებიც ზუგდიდში დამკვიდრდნენ და მშვენივრად მოაწყვეს ცხოვრება. ეს არავის არ შურს, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მაგრამ გაკვირვებას (კანონიერ წყენასაც კი) იწვევს მათი დუმილი იმ დროს, როდესაც ამ ორმხრივ ტრაგედიაში ქართველი კაცი დანაშაულდება. ნუთუ არ შეკუმშიათ გული, როცა ოსი ექსტრემისტებისაგან სასიკვდილოდ დაეცა ზუგდიდელი ა. ქირია. ნუთუ უხერხულად მაინც არ გრძნობენ თავს მასპინძლების მხრივ მუდამ ყურადღების ქვეშ მყოფნი, ჩვენებურ სტუმართმოყვარეობაში, ბუნებაში კარგად გათვითცნობიერებულნი?

იმედია, ამ წერილის ადრესატები სწორად გამიგებენ. და შეეცდებიან თავიანთი დამოკიდებულების გულწრფელად გამოხატვას სამაჩაბლოში დატრიალებული მოვლენებისადმი. სიმართლისათვის თვალის გასწორებით, ობიექტურობით ჩვენ უფრო დავუახლოვდებით ერთმანეთს, გავფანტავთ ყოველგვარ გაუგებრობას, ცალმხრივობას.

ზოიელი მიქელაძე.

# საქმემან შენმან გამოგაჩინოს...

მრავალი ჭირი გადახდომია ჩვენს ხალხს შვიდი ათეული წლის მანძილზე. ჩვენ მოტყუებულებმა და ცთუნებულებმა ვიცხოვრეთ. ღმერთმა დაგვიფაროს, განვლილი პერიოდის მიმართ მხოლოდ ნეგატიური, ნიჰილისტური დამოკიდებულება გვქონდეს. რა თქმა უნდა, წარსულის დიალექტიკური შეცნობის გარეშე ჩვენ წინ ბიჯს ვერ გადავდგამთ. ალალად გამრჯელი, პოლიტიკური დოქტრინებისაგან თავისუფალი ადამიანების ხელებით ბევრი სასიკეთო რამეც გაკეთდა. ჩვენ ისტორიული მეხსიერების უნარი თუ დავკარგეთ, თაობათა შორის კანონზომიერი კავშირის ობიექტურად აღქმა თუ ვერ შევძელით, ჩვენივე ნებით შევიბორკავთ ხელ-ფეხს ახალი ცხოვრების დასამკვიდრებლად.

ახლა, როცა ყოველი ჩვენგანის ცნობიერებაში ცნებების, ღირებულებების გადალაგება ხდება, უნდა მოვახერხოთ განვითარების მაგისტრალური ხაზის გამოკვეთა. ახალი ეროვნული ხელისუფლების და მისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ძალისხმევაც სწორედ ამ ახალი, უცთომელი კურსის შემუშავებაში უნდა გამოვლინდეს.

ხადაოდ არავინ უნდა მიიჩნიოს ის ჭეშმარიტება, რომ დასახული ისტორიული ამოცანების ხორცშესხმა მთლიანად უნდა განაპირობოს საქართველოს ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა. დღეს განსაკუთრებული ძალით უნდა გამოიკვეთოს პიროვნების, სპეციალისტის, კომპეტენტური კადრის, ლიდერის გადამწყვეტი როლი. სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირიდან რესპუბლიკის გამოყვანის გადამწყვეტ, რთულ უბნებზე სწორედ ისინი უნდა იქნენ წამოწეულნი. მშრომელთა დღევანდელი ენთუზიაზმი უნდა დაეფუძნოს კოლექტივისა და ხელმძღვანელის სრულ ურთიერთნდობასა და რწმენას. ყოველ ქართველს დღეს გულს უნდა უთბობდეს დიდი და შეუვალი სიმართლე, რასაც ჩვენი სახალხო მეურნეობის, თვით ჩვენი ცხოვრების წესის ძირეულად შეცვლის პატრიოტული ჟინი ჰქვია. ბუნებრივია, რთული და მასშტაბური საქმეების შედეგების მსურველთა შორის ასაკობრივი, სადემარკაციო ხაზის გავლება არ იქნება მიზანშეწონილი, სასიკეთო გარდაქმნების ძალა და ალღო შესაძლოა ყველა თაობის წარმომადგენელს აღმოაჩნდეს. საკითხი უნდა გავიაზროთ პრინციპული მიდგომების ჭრილში: რამდენად ძალუძს პიროვნებას, იქნება ის ცხოვრების ბრძმედში გამოწრთობილი, თუ ჯერ კიდევ გამოუცდელი, ძიების ჟინით ანთებული ახალგაზრდა, უანგაროდ ემსახურებოდეს თავის მრავალ ჭირნახულ სამშობლოს.

თუ გული გულობს, ადამიანი მთებს შეძრავს, ნათქვამია. არაერთი მაგალითებია იმისა, თუ რა სასწაულები მოუხდენია პირად ინიციატივას, მოქალაქეობრივ გამბედაობას, მეურნეულ ალღოს. მით უფრო ფასობდა ეს თვისებები უკანასკნელ ამსურდულ ათწლეულებში. ახლა კი, როცა საწალმართოდ მოხმობილ ინიციატივას ავტორიტარული მართვის სადავეები უკვე აღარ დაუმუქრება, ამდაგვარი ვაჟკაცებს ადამიანებს მწვანე გზა ეხსნებათ სამოქმედოდ.

სუბიექტური ფაქტორი არ გახლავთ კონიუნქტურული კატეგორია. ამაზე როცა მიუთითებენ, მხედველობაში აქვთ პიროვნების ხასიათში ქცევისა და აზროვნების ნორმად დაკრისტალებული პრინციპული პოზიცია, სიმართლის მოყვარეობა, მებრძოლური თვისებები. სიმართლე და ობიექტურობა კი, პოეტის თქმისა არ იყოს, მილიონი ცხენის ძალის მქონეა.

წუწუნისა და ჩივილის, ობიექტური მიზეზების მოშველიების დრო ნამდვილად წავიდა. წარმოების რომელ სტრუქტურასაც არ უნდა უძღვებოდე, უნდა ესწრაფვოდე მთავარს: პირადი გერგილიანობა ეროვნულ ინტერესებს უნდა მიუსადაგო, ესათუის კომერციული ინტერესი კაცურკაცობას, ჭეშმარიტი ქართველობის მაღალი ზნეობრივი სამრეკლოდან უნდა გაითავისო.

წარმატება კი იქ იყრის თავს, სადაც საქმის შუაგულში ნამდვილი ლიდერი ტრიალებს. ოდითგანვე ასე იყო, მომავალშიც ასე იქნება.

საქართველოში განახლების სიომ დაჰბერა. საზოგადოებრიობა სასიკეთო ფერისცვალების სურვილით და იმედით სულდგმულობს. ადამიანებს ეუფლებათ რწმენა და ალბათ ამას ვერაფერი შეარყევს: უფრო ბედნიერი მერმისისაკენ მზირალ ადამიანებს წინ და გვერდით დაუდგებიან ჭეშმარიტი მამულიშვილნი, შეუვალი ზნეობითა და უანგარო საქმიანობით გამორჩეულნი.

ამა თუ იმ პირის ღირსების გარანტს კი საზოგადოების თვალში მხოლოდ უდაო ცხოვრებისეული მაქსიმა განაპირობებს: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს".

ზ. ცხონდია.

# ზეგეგმითი პროდუქცია

გასული სამეურნეო წელი მაღალნაყოფიერი გამოდგა ექსპერიმენტალური ჩაის საწნეხი ფაბრიკის (დირექტორი ნ. გულუა) კოლექტივისათვის. ფაბრიკამ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება შარშან 104,5 პროცენტით შეასრულა. მომხმარებელს მიაწოდა 22 მილიონ 690 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც 886 ათასი მანეთით აღემატება გეგმიურ დავალებას. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დავალება შესრულებულია 101,2 პროცენტით, მიწოდებისა 100 პროცენტით. დაფასოებულ იქნა 3082 ტონა შავი ბაიხის ჩაი, ანუ გეგმიურ დავალებაზე 182 ტონით მეტი, მომხმარებელს გაეგზავნა 3100 ტონა მწვანე აგურა ჩაი.

მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალიც მაღალნაყოფიერი შრომით აღნიშნეს აგურა ჩაის მწნეხავებმა და შავი ბაიხის ჩაის დამფასოებლებმაც. იანვარში გეგმიური 1 მილიონ 782 ათასი მანეთის მაგიერ გამოშვებულ იქნა 1 მილიონ 849 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც გეგმიურ დავალების 103,8 პროცენტია. სახალხო მოხმარების საქონლის დავალება შესრულდა 13,2 პროცენტით, მიწოდების გეგმა 100 პროცენტით. დაფასოებულია 190 ტონა შავი ბაიხის ჩაი, მომხმარებელს გაეგზავნა 200 ტონაზე მეტი მწვანე აგურა ჩაი.

[illegible] უფრო ნაყოფიერი გამოდგა თებერვლის თვე. ფაბრიკამ წარმატებით გაანაღდა როგორც სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, ისე მიწოდების დავალება. საწარმომ ორ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათეული ათასობით მანეთის პროდუქცია.

# შეხვედრა დეპუტატთან

ამა წლის 24 თებერვალს აბასთუმნის ტუნგის მეურნეობაში მოეწყო მუშა-მოსამსახურეთა შეხვედრა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთან, ბატონ ვალტერ შურღაიასთან, რომელსაც ესწრებოდნენ ზუგდიდის პრეფექტურისა და „მრგვალი მაგიდის" წარმომადგენლები.

მეურნეობის მშრომელებმა, სოფლის მოსახლეობამ ისაუბრეს საქართველოში არსებულ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე, გამოხატეს სრული თანადგომა პარლამენტის გადაწყვეტილებებისადმი, უარყოფითად შეაფასეს განვლილ პერიოდში მეურნეობის ცხოვრებაში თავჩენილი რიგი საკითხები. განმარტებულ იქნა ადგილობრივი საკრებულოების არჩევნებთან დაკავშირებული მომენტები და ნიუანსები.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა ბატონმა ვ. შურღაიამ უპასუხა მრავალ შეკითხვას.

ზ. კოდუა,
მელსინჯის კავშირის წევრი.

# „ნოეს საკურთხეველი საქართველოშია"

გასულ წელს პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია ხარაგაულში, წუნისის ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად „ზერთა კლდე" წოდებული გამოქვაბულის შესახებ, სადაც ბინა დაუდვია „ზერიონთა საძმოს".

გთავაზობთ ამ საძმოს მოძღვრის გიორგი იონა იბერიონის გაზეთ „დვრიტაში" გამოქვეყნებულ წერილს მცირე შემოკლებით.

ადამს და ევას ჰქონდათ ბედნიერება, უშუალოდ შეხვედროდნენ და დამოძღვრილიყვნენ უფლისგან, მაგრამ მათგანვე ჩადენილი ცოდვის ფასად ადამიანი მოაკლდა ღმერთთან პირისპირ დგომის უფლებას და შემდგომ მადლს დამოძღვრისას. ამ მადლს კაცობრიობა ღებულობდა და ღებულობს უფლის ნებედის მატარებელი ღვთის რჩეული შვილებისაგან, რომელთაც წინასწარმეტყველთ ვუწოდებთ. საუკუნეების წინათ მცხოვრები წინასწარმეტყველნი დღესაც გვინათებენ სავალს.

ღმერთი საიდუმლოა, სიტყვა საიდუმლოა... მაგრამ შევეცადოთ თვალი ვადევნოთ წმინდა წერილს და დავაკვირდეთ ნაღ შეაფარა უფალმა დასაბამისეული სიტყვა და საიდუმლო თვისი.

სამოთხიდან განდევნილი ადამი და ევა კაცობრიობის დედმამა ხდებიან და მათი მოდგმა სუსტი და ცოდვათაგან დამძიმებული მრავლდება ქვეყანასა ზედა.

იმ დროისათვის, როდესაც უფალმა ადამიანთა უკეთურობის გამო წარღვნის წყლები მოუვლინა კაცობრიობას, მხოლოდ ერთი კაცი იყო დედამიწაზე მართალი, ღვთის მოშიში და მოსიყვარული... მხოლოდ სახელოვანი ბიბლიური პატრიარქის, დღევანდელი კაცობრიობის მამის, ნოეს ოჯახი გადარჩა.

ღმერთს წინასწარ მონიშნული ჰქონდა ნოეს სავცხოვრისი. მივადევნოთ თვალი ბიბლიას: „ადადგა კიდობანი თთუესა მეშვიდესა ოცდაშვიდსა მის თთუისასა მთათა ზედა არარატისასა. ხოლო წყალი მავალი შემცირდებოდა ვიდრე მეათედ თთუემდე და მეთერთმეტესა თთუესა, პირველსა თთუისასა გამოჩნდნენ თავნი მთათანი".

ათვლის წერტილი ნოეს კიდობნის სამყოფელისა დროში და წარღვნის შინაარსში არის არარატის მთები, რომლებიც წყლით იყო დაფარული. ის, რომ ნოეს კიდობნის საბოლოო სამყოფელი არარატის მთები არ არის და რომ ევი მხოლოდ სასაზღვრო ათვლის წერტილია, ზემოთხსენებული ციტატიდანაც კარგად ჩანს. „წყალი მავალი" ნიშნავს იმას, რომ ჯერ კიდევ მოქმედება წარღვნისა არ არის დამთავრებული, ესე იგი კიდობნის სამყოფელი არ არის განსაზღვრული. გამოჩნდნენ „თავნი მთათანი" ნიშნავს მეორე მოსაზღვრე თვლის წერტილს — კავკასიონის მთებს, რადგან წყალთა კლებისას პირველ ისინი გამოჩნდებოდნენ დროსა და სივრცეში. ე. ი. კიდობნის ადგილ სამყოფელი კავკასიონისა და არარატის მთებს შორისაა.

მაშ ასე, ნოეს კიდობანი ჩვენს სამშობლოშია. თავი და თავი ამ ამბისა ის არის, რომ საზღვრებაში, კერძოდ იოანეს გამოცხადებაში მოხსენიებული უფლის ბეჭედი გადარჩენისა იმ ადგილიდან უნდა დაიძრას, სადაც იმყოფებოდა კიდობანი წარღვნის შემდეგ, სადაც ააგო ნოემ საკურთხეველი და ღმერთს მსხვერპლი შესწირა. აქ დალოცა ნოემ თავისი მემკვიდრეები რომლებიც ლაპარაკობდნენ დასაბამისეულ ენაზე, ამ ადგილიდან გაფრთხილდება ქვეყნიერება ახსნილის ჟამს. როგორც მაცხოვარმა ბრძანა: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინასწარმეტყველისა. რამეთუ ვითარცა იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე, ეგრეთ იყოს, მე კაცისა გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე".

ამ ტექსტში „გულსა ქუეყანისასა" მიგვანიშნებს ცივილიზაციის დასაბამს, გვეუბნება, რომ ქვეყნის გული, სიცოცხლის აკვანი, დასაბამისეული ენა აქ გამობრწყინდა, აქ აშენდა ნოეს საკურთხეველი, რომელიც გადარჩენის საკურთხევლადაა სახელდებული და მარადიული ბიბლიური მამის მემკვიდრენი სწორედ ჩვენა ვართ.

(დასასრული)

მომსახურების სფეროს ზოგიერთი კოოპერატივები არღვევენ კანონს და მათ წესდებას სანავაჭრო, შე[...] მერციულ კო[...] მიანობაში, რაზედაც მოსახლეობა სამართლიან უკმაყოფილებას

# კოოპერატივი ხალხის სამსახურში

ანგარიშო დისციპლინას.

რაიონის ამა თუ იმ კოოპერატივებს, რომლებსაც აღებული აქვთ ბანკის სესხები, გახარჯული აქვთ იგი არადანიშნულებისამებრ და გახდნენ გადახდის უუნარონი, ასეთი კოოპერატივების მიმართ ბანკმა უნდა აღძრას საკითხი პროკურატურის წინაშე მათი დაკრედიტებიდან მოხსნისა და გაუქმების შესახებ.

რაიონის მთელ რიგ კოოპერატივებში მოუწესრიგებელია შრომის ხელშეწყობა, ხელშეკრულებით ფინანსური დისციპლინა, ჩაშლილია სააღრიცხვო აღრიცხვა, ზოგან უხეშად დარღვეულია დემოკრატიისა და სამეურნეო შრომის პრინციპები. მოუწესრიგებელია წევრად მიღებისა და წევრობიდან განთავისუფლების საქმე მოწვეულ პირებთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხები. არ წარმოებს შედლეულის შექმნის, მისი გადამუშავების რეალიზაციის აღრიცხვა სრულყოფილად. უგულებელყოფილია ცოკების თანხების განაწილება. სრული განუკითხაობა გამოთქვამს.

ზემოთხსენებულ და სხვა დარღვევების აღმოსაფხვრელად კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა გაატარონ შესაბამისმა სამსახურებმა.

კოოპერატივების თავმჯდომარე და მისი წევრები ვალდებულნი არიან მკაცრ კონტროლს უწევდნენ შრომითი და ხაფინანსო რესურსების რაციონალურ და ეკონომიკურ გამოყენებას, არ დაუშვან უყაირათობა, მფლანგველობა, ხოლო კოოპერატივების რაიონული გაერთიანება მოწოდებულია ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კოოპერაციული მოძრაობის განვითარებას. მერიოდულად განიხილოს გამგეობაზე და სხვა სხდომებზე კოოპერაციული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხები და გაატარონ შემდგომი ღონისძიებები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

**ნ. თოარდია,**
ტარმარენშა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა ზუგდიდის რაიონული გაერთიანების თავმჯდომარე.

## რ. ა. ცქიტიშვილი

გარდაიცვალა საწარმოო გაერთიანება „საქალალდმრეწვის" დამსახურებული მუშაკი რაჟდენ ალექსანდრეს ძე ცქიტიშვილი.

რ. ცქიტიშვილი დაიბადა 1935 წელს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში. 1952 წელს მშობლებთან ერთად საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. ზუგდიდში, დაამთავრა ზუგდიდის მეხუთე საშუალო სკოლა, მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური და ჩაება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. 1960 წელს მუშაობა დაიწყო ქაღალდის წარმოების საამქროში ზეინკალშემდუღებლად, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შრომობდა.

სამი ათეული წლის მანძილზე რ. ცქიტიშვილი საქმის სიყვარულით, ერთგულებით ემსახურებოდა არჩეულ პროფესიას და მდიდარ გამოცდილებას დაუზარებლად გადასცემდა ახალგაზრდობას.

მის პიროვნებას ამკობდა თავმდაბლობა, კეთილშობილება, უანგარობა და შრომის დიდი სიყვარული. მექაღალდეთა კოლექტივში მას იცნობდნენ, როგორც უღალატო და საქმეზე თავდადებულ, მშრომელ კაცს, გაჭირვების ტოლკვეხს.

რ. ცქიტიშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. არაერთხელ იყო არჩეული ქაღალდის წარმოების საამქროს პროფკომიტეტის წევრად, პროფჯგუფორგად. მოწინავე სახალხო რაჟმელი დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა კოლექტივში, მიკროუბანში.

საადრევად წავიდა ჩვენგან გამოცდილი მშრომელი კაცი, მზრუნველი მამა და ერთგული მეგობარი, მისი ხსოვნა უკვდავია, მისი მოგონება მარადიული ჩვენთვის.

**ამხანაგების ჯგუფი.**

**რედაქტორი**
**აკ. შანტურია.**

---

შვილები: ნ[ა]თელა. გოგონა. გენო. ბოჩო დაგარგულიები. დები: ვერა. ნორა. ძმა ვასო ბარაბაძეები. რძლები პისტი კაკულია. მზეონა ტურძელაძე. მარინა ძაძამია. ინგა ცინცაძე. თამრიკო გულისაშვილი, ვარდო მურუსიძე. სიძეები შუქრი შარაძე. თამაზ სხილაძე. შვილიშვილები: ლამზირა. თემური იმნაძეები. გელა შარაძე. ბუთხუზი. თემური კვირკველიები. მაია. დათო. მერაბი. თამაზი დაგარგულიები. დისშვილები: ლიზა. ვარდო. ოთარი ბერიშვილები. თალიკო. ნოდარ დაგარგულიები. ბელა. მზია. გურამ იმნაძეები. ძმისშვილები: გიგი. გია. მერი. თამარა. ეენია. კლარა ბარაბაძეები. ახლო ნათესავებით იუწყებიან

თათუშა სანდროს ასულ ბარაბაძე-დაგარგულიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 მარტს. დაკრძალვა 9 მარტს. გამოსვენება თავისუფლების ქ. №155.

---

მეუღლე გული. შვილი ქეთინოდა ნელი. ძმა ცოტნე. რძლები: ლამარა მახარაძე. გალინა ქარდავა. ძმისშვილები: ლალი. გურამი. თემური სიდედრი ლოლია ქირია. ცოლისდა თინათინ. ცოლისძმა ნაპო ქირიები. ქვისლი გივი ლევინჯილია. მამიდაშვილები ოთარი. რეზო სიგუები, ლუბა. ვახტანგ ზერულაძეები. დეიდაშვილები: რუსიკო. ბორისი. რუდოლფი. კარლო. მიშიკო გოგიები. ბიძაშვილები ნათელა. რეზო მირცხულავები იუწყებიან

როლანდ ალექსანდრეს ძე ქარდავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6. 7, 8 მარტს. დაკრძალვა 9 მარტს 16 საათზე სოფ. ჭითაწყარში. გამოსვენება რუსთაველის ქ. 36.

---

მეუღლე გრიშა კაკულია. შვილები: მურმანი. ელისო. გელა. შვილიშვილები კახა. დათო. სოფიკო. ძმა ჯამბულ ქოქოლია. დები: ციალა. მედიკო. ძმისშვილები ცაცა. დარეჯან. ბუთხუზი ქოქოლიები, დისშვილები ნანა, მამუკა. დედამთილი ეენია. მამამთილი პიმენ კაკულია. მაზლები ინდიკო. ალვორი. ზურიკო. მულები გოგუცა. იამზე. რძალი ლენიზა. ლამარა. ნელი. ნონა. მზია. სიძეები ელვარდ მამფორია, ელგუჯა შაქრაშვილი. დიმიტრი ქათამაძე. კოსმანი პაპკორია. აბესალომ ბულია. მამუკა გიგინეიშვილი. დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიზა (ელისო) ბათლომეს ასული ქოქოლია-კაკულია.

პანაშვიდი 6. 7, 8 მარტს. დაკრძალვა 9 მარტს ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ცაბაძის 78-დან.

---

მეუღლე შოთა. შვილები: მამუკა. ნანა. მანანა დარასელიები, სიძე ჯამბულ ძიძიკია. ძმა ალიოშა ჯანჯღავა, და დინა. სიძე გვადია ჯღარკავა, შვილიშვილები: ჰამლეტი. იკა. მულები: ტატიანა. შურა. ნუცა იუწყებიან

ეთერ პიმენის ასულ ჯანჯღავა-დარასელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6. 7. 8 მარტს. დაკრძალვა 9 მარტს სოფ. კოლხიდაში.

---

ნამეცნიერო-ნაწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა

შოთა ნესტორის ძე ფიჩხაია.

---

დები: ძინობია. თამარა. ძმები: ბოდლო. დომე. სიძე პეტრე ქარჩავა. დისშვილები: ვალიკო. გული შედანიები. იმანი. თალიკო. მეგონა. თინიკო. ლიანა. ლეილა ქარჩავები. ზაური. თინა არქანიები. ძმისშვილები: გურამი. ჭოჭოშა. ვანია. ვაკო. მეგონა. გონელი. ჯამბული. მარინა. ნონა. ციალა. ნანული თორიები. ბიძაშვილები: კუკა. კიტო. ჭაჭუ. შვარლი სახაიები, რძლები: რაისა. ძაბული. გული ახლო ნათესავები იუწყებიან

ეთერ (ჭიინტი) ნესტორის ასულ თორია-ქუხილავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7. 8 მარტს. გამოსვენება 9 მარტს ქ. ზუგდიდი, წულუკიძის ქუჩა 28. 17 საათზე, დაკრძალვა მაცხოვრის კარის სასაფლაოზე.

---

შვილი კაზი. სიძე გოდა დარასელია. შვილიშვილები: ნანა. მაკა. კახა. ირმა. ირინა დარასელიები. შვილთაშვილები ლიზიკო. ეკა სიჭინავები. სიძეები ბახვა სიჭინავა. გია ლულათავა. მზახალი მერი ფიფია, ბიძია იროდი ჯიქია. მაზლი ბოჩო როგავა. ბიძაშვილები: ოთარი. მეგონა. ვენერა ჯიქიები. ალიოშა. ხუტა შედანიები. ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა ნესტორის ასული შედანია-როგავა.

პანაშვიდი 6. 7, 8 მარტს. დაკრძალვა 9 მარტს. გამოსვენება გორკის ქ. 36.

---

ზუგდიდის დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი თანაუგრძნობს როინ თორქიას ძმის ალიკოს გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ლიდია. შვილები: ნინელი. ნოდარი. როინი. როდელი ჭურღულიები. რძლები: ზაირა ქარჩავა. ლარისა ბუკია, მედიკო გაბისონია. ნათელა შეროზია. სიძეები რეზო კვარაცხელია. ბიჭუნა ჭკადუა. შვილიშვილები: მაია. მედიკო. თეა. მამუკა. ნათია. მარიკა. ზვიადი ჭურღულიები, ალიკა. ნოდარ კვარაცხელიები. დისშვილები: გივი. იურა. ბიძაშვილები, მამიდაშვილები. დეიდაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

ნოკო კვატატის ძე ჭურღულიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6. 7. 8 მარტს. დაკრძალვა 9 მარტს სოფ. ოდიშში.

---

შვილები: გრიშა, ნათელა, ნელი. დინარა კანკიები. რძლები: ნოკოშა კეიდია, ნანული ახალაია. ირმა ჩიჩუა. და გრაფი. ძმა ქური. სიძეები ბიჭიკო შუბლაძე, ზაურ გურგენიძე. რუზგენ ბული. შვილიშვილები: ნაზი. ნეტა. გოვა. დათო, ხლივა. თინათილა. ზურიკო. თეა. გოგიმ ული ვერიჩკა. მაზლი დომენტი. შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

ნუცა მელიტონის ასულ ნაჭყებია - კანკიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7. 8 მარტს. დაკრძალვა 9 მარტს. გამოსვენება 4 საათზე. ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას 23.

---

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-32-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96. სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-35-12. შაბათ-რედაქციის 9-47-09

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 8000 შეკ. №750